



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისური მარკა



თბილისური მარკა

თბილისური მარკა, პირველი საფოსტო მარკა რუსეთის იმპერიაში. თბილ. საქალაქო ფოსტისათვის 1857 შედგენილი ჟურნალ-გაზეთების სახლში მიტანის წესდება გვამცნობს, რომ თბილ. საგუბერნიო საფოსტო კანტორასთან დაარსდა საქალაქო ფოსტის განყ-ბა; წესდება გვანვდის საინტერესო ცნობას, რომ „... для облегчения публики продаются введенные собственно для развозки почты особая бумажная штемпельная печати, имеющие свойство облатки, съ платою за каждую по 6 к., продажа менее пяти таковых печатей производиться не будет“.

„ობლატკაზე“ არის წარწერა: ТЕФ Δ Δ ФЕ¹ Городс. ПОЧТА 6 коп. [ტფილის (ის) ქალაქ (ის) ფოსტა 6 კაპ.]. წარწერა მოთავსებულია ოთხკუთხედში, რ-შიც ჩასმულია მრგვალი მედალიონი, შიგნით გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი; „ობლატკა“, ვ. დალის განმარტებით, წარმოადგენდა მრგვალ ნებოვან ქალაღდს, რითაც იბეჭდებოდა წერილები. არსებობს მოსაზრება, რომ 1857 დაბეჭდილი თბილისური „ობლატკა“, იმჟამინდელი რუს. იმპერიის სივრცეში პირველი „სამარკო ნიშანი“ იყო და ერთი წლით უსწრებდა რუსეთში 1858 გამოშვებულ საფოსტო მარკას.

წყარო: Кавказский Календарь на 1858 годъ, изданный отъ Канцелярии Наместника Кавказскаго, Тфл., 1857.

ლიტ.: არ ლ ა ზ ო რ ო ვ ი მ., თქვენს სახელზე წერილია, თბ., 1957; ბ რ ე გ ვ ა ძ ე ბ., საქართველოს საფოსტო მარკების კატალოგი (1990-1999 წწ.), თბ., 2000; ჯ ა ვ რ ი შ ვ ი -

ლიკ., მეტბილისელი ვარ, თბ., 1972.

თ. ბერიძე
